



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის საქმიანობის
28.11.2016 – 01.09.2017 პერიოდის

ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია 2016 წლის 28 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით კომისიის მიერ მომზადებული და ინიცირებული საკანონმდებლო საქმიანობის ნუსხა, განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, მოსახლეობასთან და სამედიცინო დაწესებულებების პერსონალთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარე

ნუგზარ სურმანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი მანველიძე

კომისიის წევრები:

ილია ვერძაძე

დავით თედორაძე

დავით ბაციკაძე

ზაზა ოქუაშვილი

გიორგი დიასამიძე

კომისიის აპარატი

აპარატის უფროსი

ლეილა ლოლობერიძე

თავმჯდომარის თანაშემწე

სოფიო კობალაძე

უფროსი სპეციალისტი

კახა ფუტყარაძე

უფროსი სპეციალისტი

მარინე მანელიშვილი

უმცროსი სპეციალისტი

ინგა რომანაძე

კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ამოცანები და ფუნქციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია შექმნილია უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით, რომელიც მუშაობას წარმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახლდათ, რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რისთვისაც უპირველეს ამოცანად მივიჩნევდით ჯანდაცვის მართვის ორგანიზაციაში თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების დანერგვას. ჩვენი საქმიანობის ძირითადი ორიენტირი იყო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავებაში, განხილვასა და დამტკიცებაში აქტიური მონაწილეობა, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების პაკეტის მიწოდებას, რომელიც რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მოსახლეობის მოთხოვნებსა და ინტერესებს.

კომისიის სხდომების სტატისტიკა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავდა კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შემუშავებული პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომისიის აპარატის დებულების შესაბამისად განხილული და დამტკიცებული იყო კომისიის სხდომაზე.

კომისიის სამუშაო გეგმა მოიცავდა, როგორც კანონშემოქმედებით, ასევე უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და ჯანდაცვის სისტემაში შემავალი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციებსა და ანგარიშებს. ასევე სხდომაზე პერიოდულად იხილებოდა სხვადასხვა აქტუალური საკითხები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 20 სხდომა. მათ შორის:

- კომისიის – 12;
- კომისიების ერთობლივი – 5;
- გასვლითი – 3 (ხულო, შუახევი, ქედა) სხდომა.

სულ კომისიის სხდომებზე განხილული იქნა 31 საკითხი, აქედან:

- კანონპროექტი და დადგენილება _ 11;

- საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი - 7;
- სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია - 13.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე მომზადებულია 18 დასკვნა.

ასევე კომისიას ჰქონდა 4 სამუშაო შეხვედრა, რომელზეც მოსმენილი იქნა შემდეგი ინფორმაციები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაცია სეზონური ვირუსული დაავადებების შემთხვევათა მატებასთან დაკავშირებით;

2. შპს „ქალაქ ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ ხელმძღვანელის ლევან გორგილაძის ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და არსებული პრობლემების შესახებ;

3. სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, შპს „ქალაქ ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ და სს „საზღვაო ჰოსპიტალის“ ხელმძღვანელთა ინფორმაციები C (HCV) ჰეპატიტის, შემცირებისა და თავიდან აცილების გზების თაობაზე;

4. სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

კომისიაში შემოსული განცხადებების, წერილების, კორესპონდენციების და მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუდმივ დახმარებას უწევდა მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოსულია 185 წერილი, აქედან მოქალაქეთა განცხადება _ 68, საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი _ 7, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი _ 15 და სხვადასხვა უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან _ 95.

მოქალაქეთა განცხადებების უმრავლესობა მოიცავდა სამედიცინო სფეროს, ნაწილი ითხოვდა სოციალურ დახმარებას, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი მოითხოვდა დასაქმებას.

კომისიაში შემოსული ყველა განცხადება კომისიის აპარატის მიერ აყვანილი იყო კონტროლზე და შესწავლილი იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი

ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, საიდანაც მიღებულია პასუხები მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

მოქალაქეთა განცხადებებში დასმული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით დანერგილი გვექონდა მათი კომისიის სხდომებზე განხილვის პრაქტიკა.

გარდა ამისა საანგარიშო პერიოდში კომისიაში მიღებაზე იყო 241 მოქალაქე, კომისიაში შემოსული განცხადებებიდან ნაწილი ეხებოდა მოქალაქეთა მკურნალობას, სოციალურ, ფინანსურ, საბინაო, საყოფაცხოვრებო და დასაქმების საკითხთა მოგვარებას, განცხადებების ნაწილი კი ბუნებრივი სტიქიით დაზარალებულთა პრობლემებს. ყველა მოქალაქეს ჩვენი კომისიის კომპეტენციის ფარგლებში გაეწია შესაძლო დახმარება.

აღსანიშნავია, რომ კომისიის უშუალო ჩარევით დახმარება გაეწია და ოპერატიული მკურნალობა დაუფინანსდა 285 მოქალაქეს (განცხადების გარეშე).

სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობა

კომისიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია კომისიის წევრების მოსახლეობასთან, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ მედპერსონალთან, პრესისა და მასმედიის წარმომადგენლებთან ურთიერთ-თანამშრომლობა, არსებული პრობლემების შესწავლა და მათზე რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს შეხვედრები ჰქონდათ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელობასთან. აღნიშნული შეხვედრების ძირითადი მიზანი გახლდათ საფუძვლიანად შეგვესწავლა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო რეფორმების გატარება და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იქნება.

შეხვედრის დროს დასმული იქნა სხვადასხვა პრობლემური საკითხი, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა სამკურნალო დაწესებულებების კვალიფიციური სამედიცინო კადრების სიმცირის, სახელფასო განაკვეთების გაზრდის და ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პუნქტების (სოფლის ამბულატორია) რეაბილიტაციის და სამედიცინო დაწესებულების წინაშე სოციალურად დაუცველ პაციენტთა დავალიენებების საკითხებს, რომელთა უმეტესი ნაწილი მოგვარებული იქნა. ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება პაციენტთა ინფორმირებულობა და კომუნიკაცია, რის გადაწყვეტაზეც სამკურნალო დაწესებულებების და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელობასთან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ.

საანგარიშო პერიოდში, როგორც უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატს შეხვედრები მქონდა მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან. შეხვედრების დროს ვცნობოდით იმ პრობლემებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებდა და საჭიროებდა გადაწყვეტას. კერძოდ:

- მიშენებული ფართების პროექტირება;
- დამხმარე ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის დაკანონება;
- სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება;
- ავტომაგისტრალის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- გზის საფარის დაგება და სხვა.

ზემოაღნიშნული პრობლემების უმეტესი ნაწილი დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მიღებაზე იმყოფებოდა 71 მოქალაქე, შემოსულია 71 განცხადება, თითოეული მათგანი შესწავლილი და რეაგირებული იქნა დადგენილ ვადებში.

კომისიის ორგანიზებით მოეწყო:

- აქცია სახელწოდებით „უფასო დონაციის ფარგლებში“ (კომისიის ინიციატივით ღონისძიება გაიმართა პერიოდულად);
- შეხვედრა სამედიცინო ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებთან და აჭარაში მოღვაწე ღვაწლმოსილ ექიმებთან;
- ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბათუმის იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ცენტრსა და ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალში უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწია მზრუნველობამოკლებულ და შშმ ბავშვებს, ასევე კომისიის ინიციატივით უმაღლესი საბჭოს წევრებმა მოინახულეს და საჩუქრები გადასცეს ფონდ „თანა“-სა და დღის ცენტრის აღსაზრდელებს.
- დონორთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სისხლის უსაფრთხოებისა და უანგარო დონორობის რეგულარული მხარდაჭერისათვის მადლობის სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, კერძოდ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისია;

კომისიის ეგიდითა და კომპანია ევექსის მხარდაჭერით კი ჩატარდა:

- უფასო კონსულტაციები და კვლევები ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- უფასო კონსულტაციები და კვლევები შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- უფასო კონსულტაციები და კვლევები ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- უფასო კონსულტაციები და კვლევები ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის;

ზემოაღნიშნულ აქციებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და კომისიის ორგანიზებით განმეორებით ჩატარდა უფასო კონსულტაციები და კვლევები ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის.

ასევე კომისიის თხოვნით 165–ე 218–ე დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეები, ევექსის კლინიკებში პირველი სექტემბრიდან ყოველდღიურად (გარდა უქმე–დღეებისა) მიიღებენ უფასო კონსულტაციებსა და 20% ფასდაკლების ვაუჩერებს მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე;

აღსანიშნავია აგრეთვე კომისიის აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, კერძოდ:

- **05.12.2016** - „ევროკავშირი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტისა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით გამართული შეხვედრა;
- **09.12.2016** - ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი (რებრენდინგი);
- **09.12.2016** - EXPO GEORGIA გამოფენა;
- **13.12.2016** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს სამუშაო შეხვედრა;
- **13.12.2016** - შეხვედრა თურქეთის კონსულთან (იასინ თემიზჯანი);
- **14.12.2016** - ფონდი „თანას“ საქველმოქმედო ღონისძიება;
- **19.12.2016** - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, ქართველ და ევროპელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები;
- **22.12.2016** - 2016 წლის საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებელი ობიექტების დაჯილდოების ცერემონია (ორგანიზატორი აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი);
- **22.12.2016** - N3 საბავშვო ბაღი, საახალწლო ღონისძიება;
- **23.12.2016** - საერთო წარსულით საერთო მომავლისკენ ანუ სოხუმის ქუჩიდან სოხუმის ქუჩებში, ორგანიზატორი საერო-ელიტარული სკოლა „გორდა“;
- **25.12.2016** - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, ანსამბლი „ბათუმი“;
- **29.12.2016** - სპორტის სფეროს „წლის საუკეთესონი“-ს დაჯილდოება. ორგანიზატორი აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი;
- **30.12.2017** - ღვაწლმოსილი ექიმის დავით ზოიძის საიუბილეო საღამო;
- **14.02.2017** - სასტუმრო ინტურისტ პალასი, ლაუნჯ ბარის გახსნა;
- **28.02.2017** - გაეროს ბავშვთა ფონდის დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ამოქმედების ხელშეწყობა აჭარაში;
- **20.03.2017** - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბათუმის რეგიონალური ოფისი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეხვედრა 11 მარტის აქციის შედეგად დაკავებულთა ოჯახების წევრებთან;

- **21.03.2017** - „ჩემი ხმა საზოგადოებაში“ - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;
- **22.03.2017** - ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი (A კორპუსში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულება);
- **23.03.2017** - შეხვედრა ბათუმის ბულვარში ღვაწლმოსილ ადამიანებთან;
- **29.03.2017** - „სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობის“ - პროგრამის ფარგლებში ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლის ექიმებს მაღალი გამავლობის მანქანების გადაცემა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ;
- **30.03.2017** - შეხვედრა ხელოვან – ელგუჯა მეძმარიაშვილთან;
- **05.04.2017** - შეხვედრა კახაბრის ქუჩის მოსახლეობასთან, საერთო სარგებლობის საცხოვრებელ სახლზე, დამატებითი ფართის მიშენების თაობაზე.
- **06.04.2017** - დაბა ხელვაჩაურის მოსახლეობასთან შეხვედრა, ელექტრო გადამცემი ქსელის პრობლემასთან დაკავშირებით;
- **07.04.2017** - ადლიის მოსახლეობასთან შეხვედრა, მდინარის ნაპირგასამაგრი სამუშაოების თაობაზე.
- **07.04.2017** - „სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საოჯახო მედიცინის საერთაშორისო სიმპოზიუმი“ სასტუმრო „ეიფორია“;
- **24.04.2017** - აჭარის ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფოს გახსნა;
- **11.05.2017** - საგანმანათლებლო და სახელმწიფო სექტორს შორის ურთიერთ-თანმშრომლობის განვითარების მიზნით, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა“ და შავი ზღვის საერთაშორისო კოლეჯ „ბლექ სი“-ს შორის მემორანდუმის გაფორმება;
- **12.05.2017** - ტურიზმისა და სასტუმროს აღჭურვილობის მე-10 საერთაშორისო გამოფენა;
- **30.05.2017** - „წიგნები საქართველოდან ემიგრანტებისათვის“ - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- **31.05.2017** - ზურაბ გორგილამის შემოქმედებითი საღამო;
- **1.06.2017** - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- **7.06.2017** - ომეგა მოტორსის ბათუმის შოურუმის გახსნა;
- **12.06.2017** - ხულოს თეატრის 80 წლის იუბილე, ი. ზოიძის პროფესიული დრამატული თეატრი;
- **13.06.2017** - ზ. გორგილამის პოეტური საღამო. ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი;
- **14.06.2017** - ბოშები - გიზო ჟორდანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო-ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- **14.06.2017** - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-ფონდი „თანა“;

- **14.06.2017** - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ბათუმის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი;
- **14.06.2017** - სამოქალაქო განათლების პროგრამის - „მომავლის თაობა“ შემაჯამებელი ღონისძიება, სასტუმრო „ინტურისტი“;
- **16.06.2017** - „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“- რადიო-გენდერის მედიაცენტრი;
- **20.06.2017** - შშმ პირები პროექტ „ზღვა და სამყაროს“ ფარგლებში, მწერალთა სახლი;
- **29.06.2017** - დამსახურებული მეან-გინეკოლოგის ჯუმბერ უნგიაძის 60 წლის საიუბილეო საღამო;
- **30.06.2017** - გაეროს ბავშვთა განვითარების ფონდის (UNICEF) წარმომადგენლებთან შეხვედრა;
- **04.07.2017** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ანგარიში, ბათუმის ხელოვნების ცენტრი;
- **8.07.2017** - „სელიმობა“ – სელიმ ხიმშიაშვილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- **10.07.2017** - ანსამბლ „ბერმუხას“ 35 წლის საიუბილეო ღონისძიება, ი.ზოიძის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრში;
- **12.07.2017** - ბათუმის დემოკრატიის სკოლის პროგრამის პრეზენტაცია „ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისათვის“;
- **15.07.2017** - თურქეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის აღკვეთის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- **19.07.2017** - ოჯახური ტიპის საცხოვრისის გახსნა აჭარის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში;
- **19.07.2017** - ინფექციური საავადმყოფოს ექიმებთან შეხვედრა;
- **19.07.2017** - საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა (კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა);
- **28.07.2017** - C ჰეპატიტთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრში“;
- **06.08.2017** - შუამთობის სახალხო დღესასწაული კურორტი ბეშუმში;
- **12.08.2017** - თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსულის იასინ თემიზქანის მოწვევა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით;
- **18.08.2017** - ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებულებთან შეხვედრა;
- **12.08.2017** - „თაფლის ფესტივალი“ - ორგანიზატორი სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- **28.08.2017** - ბერლინის მალტის საზოგადოების პროექტი „ტალიტა კამის საზაფხულო ბანაკი“ ბათუმში;

- **31.08.2017** - შეხვედრა ჩინური მედიცინის შანხაის ინსტიტუტის წარმომადგენელ ვახტანგ ბალაშოვსა და ბათუმის ონკოლოგიური მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელთან მემედ ჯინჭარაძესთან.

კომისიის საზედამხედველო და საკანონმდებლო საქმიანობა

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისტემატურად ახორციელებდა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

კომისია მაქსიმალურ ყურადღებას უთმობდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების პრიორიტეტების შერჩევას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი წინადადებების ერთობლივი ანალიზი, შეჯერება, მათი გათვალისწინება მომავალი და მომდევნო წლების ბიუჯეტში სახელმწიფო პროგრამების შემუშავების მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაშია და მნიშვნელოვანი წინადადგმული ნაბიჯი იქნება რეგიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის მისაღწევად. ამ მიზნით მომდევნო წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე კომისიის სხდომებზე, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ 2017 წლის სამედიცინო პროგრამების პროექტები და კომისიის წევრების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები გაეგზავნა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე მოვისმინეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები. კერძოდ:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ინფორმაცია მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სოციალური დახმარების მიმღებთა გამოვლენის, დადგენის, აღრიცხვისა და დახმარების დანიშვნის შესახებ
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინფორმაცია სამინისტროს 2016 წელს გაწეული მომსახურებისა და 2017 წლის ღონისძიებების შესახებ;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ყოველკვარტალური ანგარიში (2017 წლის I და II კვარტალი);

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინფორმაცია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და 2017 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსის ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების თაობაზე;
- დასაქმების სააგენტოს ხელმძღვანელის ანგარიში მიმდინარე წლის საქმიანობის შესახებ;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის შესახებ;

კომისია აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივებზე. კერძოდ:

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან;

2. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;

კომისიის თავმჯდომარე

ნ. სუსუაძე